

მამკვიდრებლის კრედიტორის მოთხოვნის წარდგენისა და სამკვიდროს
მიღებაზე უარის თქმის ზოგიერთი საფუძვლის ხარვეზთა ანალიზი

გიორგი ქუმსიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გლაზოვი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გიორგი ქუმსიაშვილი, 29.06.2022.

აბსტრაქტი

სამკვიდროს მიღება ან მის მიღებაზე უარი მიეკუთვნება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებათა კატეგორიას. მემკვიდრეობითი ურთიერთობების დარეგულირების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ნათლად იყოს განსაზღვრული, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ვერ მიიღოს მემკვიდრემ სამკვიდრო ქონება. მამკვიდრებლის დანაშთი ქონების მიღების აკრძალვა წარმოადგენს საკუთრების, როგორც კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს აღნიშნული უფლების შეზღუდვის კანონზომიერება.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს პირის უღირს მემკვიდრედ გამოცხადება. უღირს მემკვიდრედ გამოცხადების ამომწურავი წინაპირობები გაწერილია სსკ-ის 1310-ე მუხლში. პირი უღირს მემკვიდრედ შეიძლება გამოცხადდეს იმ შემთხვევაში თუ იგი მამკვიდრებელს ხელს უშლიდა მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას. კანონი მხოლოდ კუმულატიურად ორივე წინაპირობის შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას უღირს მემკვიდრედ გამოცხადებისთვის. თუმცა კანონმდებელი არ ითვალისწინებს პირის უღირს მემკვიდრედ გამოცხადებას მაშინ, როცა მემკვიდრე კლავს მამკვიდრებელს და იდენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე მოკლავს მამკვიდრებელს სხვადასხვა მოტივის გამო ან/და უმიზეზოდ, სსკ-ის 1310-ე მუხლის საფუძველზე მან მაინც შეიძლება მიიღოს სამკვიდრო ქონება. ეს კი ბადაებს მთელ რიგ კითხვებს მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც სხვა ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი და სხვა) კანონმდებლობა საპირისპირო მიდგომას ავითარებს.

სამკვიდროს მიღების შეზღუდვის კიდევ ერთ საფუძველს ვხვდებით სსკ-ის 1309-ე მუხლის მე-2 წინადადებაში. აღნიშნული წინადადების მიხედვით, ქორწინებისგარეშე შობილი პირის მემკვიდრეს (შვილს) მამის ხაზით შეუძლია

სამკვიდროს მიღება, თუმცა დედის ხაზით იგი სამკვიდროს ვერ მიიღებს. კანონმდებლის ეს მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლებასთან და დისკრიმინაციის აკრძალვასთან. ბუნებრივია, ხსენებული რეგულაცია არათანაბარ პირობებში აყენებს ქალსა და მამაკაცს და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციულ მიდგომას ავითარებს, რაც გამოიწვევს პირის სამკვიდროს მიღების უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ აქტუალური ხდება მისი კრედიტორების დაკმაყოფილების საკითხი მემკვიდრეების მიერ. სსკ-ის 1488-ე მუხლი განსაზღვრავს კრედიტორის მიერ მემკვიდრეთა მიმართ მოთხოვნის წარდგენის ვადებს. მუხლში მითითებული მოთხოვნის წარდგენის ვადები არ განეკუთვნება ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ნორმაში მითითებული მოთხოვნის წარდგენის 6 თვიანი და 1 წლიანი პერიოდი წარმოადგენს უფლების გამომრიცხველ ვადებს, რომლის განმარტებასაც დიდი პროცესუალური მნიშვნელობა გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მოთხოვნის წარდგენის ვადის გასვლაზე არ მიუთითებს, სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით არ დააკმაყოფილოს სარჩელი თუ დადგინდება, რომ 1488-ე მუხლში მითითებული მოთხოვნის წარდგენის ვადა არის გასული. გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია მემკვიდრის კრედიტორების მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადაზე მაშინ, როცა მუხლი ეხება მამკვიდრებლის კრედიტორებს. შესაბამისად, მუხლში დაშვებული შეცდომა იწვევს ორაზროვნებას და წარმოადგენს სამართლებრივ პრობლემას.

ქართულ რეალობაში და სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მემკვიდრეობითი სამართალი, ამიტომ მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა, რათა სხვა ქვეყნის კანონმდებლობისა და სამართლებრივი სისტემების შედარებით უკეთ წარმოჩინდეს არსებული პრობლემები.

ძირითადი საძებო სიტყვები: უღირსი მემკვიდრე, დისკრიმინაცია, პრაქტიკა.

Abstract

Acceptance or refusal to inherit belongs to one of the categories of fundamental human rights. Given the importance of regulating inheritance relationships, it is necessary to clearly define in what cases the heir may not be able to receive the inherited property. Prohibition of the decedent inheriting property constitutes a restriction on property as a constitutional right. Accordingly, in each particular case, it is important to determine the lawfulness of the restriction of that right.

One of the grounds for refusing to accept an inheritance is to declare a person an unworthy heir. Exhaustive preconditions for declaring an unworthy heir are set out in Article 1310 of the Civil Code. A person may be declared an unworthy heir if he prevented the decedent from exercising his last will and thereby facilitated the invitation of himself or his relatives to increase their share in the heirs or estate. The law only cumulatively in the case of both preconditions allows for the declaration a person as unworthy heir. However, the legislature does not provide for the declaration of a person as an unworthy heir in the event that the heir kills the decedent (intentionally) and commits a crime under the Criminal Code. If the heir kills the decedent for various reasons and/or for no reason, he can still receive the inherited property under Article 1310 of the Civil Code. This raises a number of questions, especially against the background of the legislation of other countries (Germany, France, etc.) taking the opposite approach.

Another reason for restricting the inheritance is found in the second sentence of Article 1309 of the Civil Code. According to this proposal, the heir of a person born out of wedlock can inherit through his father, but he cannot inherit through his mother. This approach of the legislator contradicts the constitutionally guaranteed right to property and the prohibition of discrimination. Naturally, the said regulation puts women and men on unequal terms and develops a discriminatory approach on the grounds of sex, which will lead to unjustified restriction of a person's right to inherit.

After the death of the decedent, the issue of satisfaction of his creditors by the heirs becomes relevant. Article 1488 of the Civil Code stipulates the time limits for a creditor to file a claim against the heirs. The time limits for submitting a claim referred to in Article do not apply to the institution of statute of limitations. The period of 6 months and 1 year for submitting the request specified in the norm is the exclusion period of the right, the definition of which is of great practical importance. If the respondent does not indicate the expiration of the time limit for filing a claim, the court is obliged to dismiss the claim on its own initiative if it is determined that the time limit for filing a claim referred to in Article 1488 has expired. In addition, Section 2 of the same article deals with the time limit for the submission of a claim by the heir's creditors, while the article deals with the decedent's creditors. Consequently, an error in the article causes ambiguity and poses a legal problem.

Inheritance law and case law is a very important issue in the Georgian reality, so it is important to identify the existing legislative gaps in order to better present the existing problems in comparison with the legislation and legal systems of other countries.

The basic exploratory words: unworthy heir, discrimination, practice.